

წინმსწრები ინდიკატორები

ია ქანთარია, თამარ ლომინაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

პროგნოზირების მეთოდებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია სხვადასხვა ეკონომიკური ცვლადების მნიშვნელობათა დინამიკის ანალიზი. ვინაიდან განვითარების ბიზნეს-ლოგიკაში ძალზე მნიშვნელოვანია კრიტიკული წერტილების პროგნოზირება, გამოიყენებენ ამ მიზნით ეკონომიკური მაჩვენებლების სპეციალურ ერთობლიობას, ანუ წინმსწრები ინდიკატორებს. მათ დინამიკაზე ახორციელებენ უწყვეტ მონიტორინგს და აკეთებენ პროგნოზს ბიზნეს-ლოგიკის განვითარებისთვის. სტატიაში მოცემულია წინმსწრები ინდიკატორების გამოყენების ძირითადი უპირატესობანი და ნაკლოვანებანი პროგნოზირებაში.

საკვანძო სიტყვები: პროგნოზირება. ეკონომიკა. ინდიკატორი. სტატისტიკური მონაცემი.

1. შესავალი

პროგნოზირება ბიზნეს-ორგანიზაციის მომავალი საქმიანობის დაგეგმვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია. ეკონომიკაში პროგნოზირების მრავალი ხერხია ცნობილი. ეკონომიკური ცვლადების მნიშვნელობათა პროგნოზირების უმარტივესი მეთოდი ინდივიდებისა და ფირმების გამოკითხვაა. ამა თუ იმ პროდუქციის მომხმარებელთა მოლოდინის ანალიზის საფუძველზე გაკეთებული პროგნოზი ხშირად ამართლებს კიდევაც, თუმცა ყველაზე ცუდ შემთხვევაშიც კი, ამ მეთოდის გამოყენებით ორი სახის ინფორმაციის მიღება მაინც შეიძლება: პირველი, რას ფიქრობენ რესპოდენტები ამა თუ იმ ეკონომიკური ცვლადის მომავალი განვითარების შესახებ და მეორე, როგორ წარმოუდგენიათ ინდივიდებს თავიანთი მომავალი ეკონომიკური აქტივობა.

პროგნოზირების უფრო კომპლექსური მეთოდები არსებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზსა და ეკონომიკური ცვლადების მნიშვნელობათა დროში განვითარებაზე დამყარებული. ზოგადად, ეკონომიკური ინდიკატორი ეს არის ნებისმიერი სტატისტიკური მონაცემი, რომლის განვითარების ტენდენციაც მომავალი ფინანსური და ეკონომიკური ტენდენციების წინასწარმეტყველებისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული. ეკონომიკური ინდიკატორების მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ: ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი, უმუშევრობის დონე, დასაქმება, შიგა ვაჭრობა და ა.შ. როგორც წესი, ეკონომიკური ინდიკატორები განსაზღვრულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს.

სამი სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური ინდიკატორი შეიძლება განვასხვავოთ. ესენია:

1. სტატისტიკურ მონაცემს, რომლის განვითარებაც ემთხვევა ეკონომიკაში არსებული ბიზნეს-ციკლის განვითარებას, თანმდევი (თანმხვედრი) ინდიკატორი ეწოდება. თანმდევი ინდიკატორის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მომხმარებელთა საშუალო პერსონალური შემოსავლები: როგორც წესი, რაც უფრო მაღალია მომხმარებელთა საშუალო პერსონალური შემოსავლი, მით უფრო მაღალია ეკონომიკური მდგომარეობა დროის მოცემულ მომენტში.

2. სტატისტიკურ მონაცემს, რომლის განვითარებაც მოსდევს ეკონომიკაში არსებული ბიზნეს-ციკლის განვითარებას, მომდევნო ინდიკატორი ეწოდება. მომდევნო ინდიკატორების გამოყენების ძირითადი არსი რაიმე ქმედების მოხდენის ფაქტის დადასტურებაში მდგომარეობს. ყველაზე პოპულარული მომდევნო ინდიკატორი უმუშევრობის დონეა. თუ უმუშევრობის დონემ იმატა ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა იყო.

3. სტატისტიკურ მონაცემს, რომლის განვითარებაც წინ უსწრებს ეკონომიკაში არსებული ბიზნეს-ციკლის განვითარებას, წინმსწრები (მოწინავე) ინდიკატორი ეწოდება. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, საპროცენტო განაკვეთის დაწესებისას, მხედველობაში ამ ინდიკატორის მნიშვნელობაც მიიღება.

უნდა აღინიშნოს, რომ დაკვირვება პროგნოზირების მიზნით მხოლოდ წინმსწრები ინდიკატორებზე ხდება, რადგან ისინი წინ უსწრებენ ეკონომიკაში არსებული ბიზნეს-ციკლის განვითარებას. წინმსწრები ინდიკატორები ეგრეთ წოდებული მობრუნების წერტილების, ბიზნეს-ციკლის პიკისა და ბიზნეს-ციკლის ფსკერის პროგნოზირებისთვის გამოიყენება. წინმსწრები ინდიკატორების მეტი წილი იწყებენ აღმასვლას ან დაღმასვლას მანამ, სანამ ბიზნეს ციკლს აქტივობის პიკი ან ფსკერია მოსალოდნელი.

თანმდევი და მომდევნო ინდიკატორების საშუალებით კი არსებული ეკონომიკური მდგომარეობის უკეთ გაანალიზება არის შესაძლებელი.

2. ძირითადი ნაწილი

ზოგადად, წინმსწრები ინდიკატორების ინდექსის გამოთვლა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროდან აღებული ეკონომიკური ცვლადების მნიშვნელობათა ანალიზის საფუძველზე ხდება. ამერიკის შეერთებულ შტატებში წინმსწრები ინდიკატორების ინდექსი შემდეგი ათი ეკონომიკური ცვლადის მნიშვნელობაზე დაყრდნობით გამოითვლება:

1. მწარმოებლების ახალი შეკვეთები სამომხმარებლო საქონელსა და ნივთებზე;
2. გამსაღებლის საქმიანობის ინდექსი;
3. მწარმოებლების ახალი შეკვეთები არასამხედრო საქონელზე;
4. აქციების სტანდარტული და დაბალი 500 ინდექსი;
5. ახალი სამშენებლო ლიცენზიები პირადი განსახლებისთვის;
6. შეერთებული შტატების ობლიგაციებსა და ფედერალურ კაპიტალს შორის გავრცელებული

საპროცენტო განაკვეთი;


7. რეალური ფულადი რაოდენობა;
8. საშუალო სამუშაო კვირა წარმოებაში;
9. სამომხმარებლო მოლოდინის ინდექსი;
10. საშუალო ყოველკვირეული მოთხოვნა უმუშევართა დაზღვევაზე.

ყველა ამ ეკონომიკური ცვლადის მნიშვნელობა ბიზნეს ციკლის ცვლილებამდე რამდენიმე თვით ადრე იცვლება. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ეს ინდიკატორები ბიზნეს ციკლის მობრუნების, გარდატეხის წერტილებს 3-12 თვით ადრე განსაზღვრვენ. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ამ ინდიკატორის გამოყენება ცალ-ცალკეც შეიძლება, ბიზნეს ციკლის მდგომარეობის შესახებ ზუსტ ინფორმაციას მხოლოდ ყველა ერთად იძლევა.

ცხადია, ისევე, როგორც პროგნოზირების ნებისმიერი ხერხის გამოყენების შემთხვევაში, არსებობს გარკვეული რისკი იმისა, რომ მოწინავე ინდიკატორების საშუალებით გაკეთებული პროგნოზი არ იქნება საკმარისად ზუსტი. ყველაზე დიდი პრობლემა, რაც პროგნოზირების ამ ხერხს ახასიათებს არის ის, რომ ნავარაუდევ რეცესიასა (პიკს) და ნამდვილ რეცესას (პიკს) შორის დროის მონაკვეთის გარკვეული სიზუსტით განსაზღვრა საკმაოდ რთულია. გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში ინდიკატორები მცდარ სიგნალებს იძლევიან, რაც არაზუსტი პროგნოზის გაკეთების საფუძველი ხდება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს მოწინავე ინდიკატორების მიერ ნაწინასწარმეტყველებ ბიზნეს ციკლის ფაზებს და რეალურ სიტუაციას.

წყვეტილი ხაზით მოცემულია ბიზნეს ციკლის ნავარაუდევი ფაზები, მუქი ხაზით კი რეალური სიტუაცია. P პიკს, ხოლო T ბიზნეს-ციკლის ფსკერის ფაზას აღნიშნავს. როგორც 1-ელი ნახაზიდან ჩანს, რამდენიმე თვით ადრე ნავარაუდევი P და T ემთხვევა რეალურ P და T.



ნახ.1

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოწინავე ინდიკატორები „წინასწარმეტყველებს“ რა მოხდება ეკონომიკაში 3-12 თვის შემდეგ. ეს ინფორმაცია კი ეხმარება როგორც სახელმწიფოს, ისე ეკონომიკაში მონაწილე ყოველ რგოლს წარუმატებლობის, უმუშევრობისა და სხვა შესაძლო პრობლემების თავიდან აცილებაში. მაგალითად, თუკი ეკონომიკურ ინდიკატორებზე დაკვირვებით ბიზნეს-ციკლის ფსკერია ნავარაუდევი, ბიზნეს-ორგანიზაციის მენეჯერმა ეს ინფორმაცია თავის დანახარჯების შემცირებისა და თანხების დაზოგვისათვის შეიძლება გამოიყენოს, რათა შეძლოს კრიზისთან გამკლავება, წარმოებისა და მასში მომუშავე პერსონალის შენარჩუნება.

მოწინავე ინდიკატორები სარგებლის მომტანია ეკონომიკაში მონაწილე ნებისმიერი ინდივიდისთვის, თუმცა სახელმწიფოსთვის ეს ინფორმაცია ორმაგად საჭიროა, რადგან მოსახლეობა სწორედ თავის მმართველობას აკისრებს პასუხისმგებლობას ეკონომიკური პრობლემებისა და სახელმწიფოს მართვას გამო. სახელმწიფოს შესაბამისი რგოლები განუწყვეტილად უნდა აკონტროლებდნენ და უნდა იყვნენ ინფორმირებულნი ბიზნეს ციკლის განვითარებაზე. როგორც წესი, ქვეყნის ეკონომიკური წარუმატებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არაინფორმირებულობაა.

მოწინავე ინდიკატორების გამოყენებას საფუძვლად უდევს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი რეალურ მოვლენებსა და შესაძლო მოვლენებს შორის. გარკვეული ეკონომიკური ცვლადების მიმდინარე მნიშვნელობების ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს გარკვეული დასკვნები სხვა ეკონომიკური ცვლადების მომავალი მნიშვნელობების შესახებ. მაგალითად, თუ ფულადი მასა მცირდება, მაშინ ეს იწვევს მომხმარებლის მიერ გაწეული დანახარჯების შემცირებას. მაგრამ ასეთი ცვლილებები მაშინვე არ მოახდენენ ზემოქმედებას მთლიან შიდა პროდუქტზე და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ფულადი მასის შემცირება გამოიწვევს ან შეიტანს თავის წვლილს ბიზნეს ციკლის შემცირებაში, მაგრამ ეს არ მოხდება მაშინვე, ამას გარკვეული დრო დასჭირდება. შესაბამისად, ფულადი მასის შემცირება დღეს არის ეკონომიკური ინდიკატორი, რომ გარკვეული დროის შემდეგ ბიზნეს-ციკლის დადმასვლა გამოვლინდება.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მოწინავე ინდიკატორები არაზუსტ და მცდარ სიგნალებს იძლევიან, მათი გამოყენება პროგნოზირების მიზნით ფართოდ არის გავრცელებული. განუწყვეტლივ მიმდინარეობს დაკვირვება შესაბამისი ეკონომიკური ცვლადების მნიშვნელობათა ცვლილების დინამიკაზე და მათი ანალიზის შედეგად გარკვეული დასკვნების გაკეთება, თუ რა ვითარებას შეიძლება ველოდოდ ეკონომიკაში არც თუ ისე შორეულ მომავალში.

ლიტერატურა:

1. Kmenta J. Elements of Econometrics. 2d edition. New York. Macmillan. 1986
2. Star P. Economics: Principles in Action. 5th edition. Wadsworth. Inc. Belmont. California. 1988
3. Mansfield E. Managerial Economics. 3d edition. W. Norton & Company. Inc. New York. 1996.
4. Maunder, Myer, Wall, Miller Economics Explained. 3d edition. Hammersmith. London. 1996
5. Kajal L., Geoffrey H. Moore Leading economic indicators: New approaches and forecasting records. Cambridge University Press. 1991.

LEADING INDICATORS

Kantaria Ia, Lominadze Tamar
Georgian Technical University

Summary

One of the most frequently used forecasting techniques is monitoring and analyses of different economical variables in order to predict a development of an over-all business-cycle. As a prediction of the turning points in the business-cycle is very important, a special set of economical variables, so called leading indicators are constantly monitored. The development of leading indicators always forestalls the development of a business-cycle. In the represented article advantages and disadvantages of usage leading indicators in forecasting are discussed.

ОПЕРЕЖАЮЩИЕ ИНДИКАТОРЫ

Кантария И., Ломинадзе Т.
Грузинский технический университет

Резюме

Один из самых распространенных методов прогнозирования – это анализ динамики изменения величин различных экономических переменных, с целью прогнозирования развития бизнес-цикла в экономике. Поскольку прогнозирование точек разворачивания в бизнес-цикле очень важно, специальный набор экономических переменных, т. н. опережающих индикаторов, используется с этой целью. Развития значений этих индикаторов непрерывно наблюдаются, и по ним прогнозируется развитие бизнес-цикла. В этой статье рассмотрены главные преимущества и недостатки использования опережающих индикаторов в прогнозировании.